მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანი, „მექაში მოგზაურობის წიგნში“, (1885)

Mohammad Hoseyn Farāhānī, “Safar-nāme-ye Makke”, wignSi: Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī, j. 5, 7-292.

მოსახლეობა და რელიგია

თბილისის მოსახლეობა 30 000 კომლამდეა, რაც დაახლოებით 120 000 კაცია. ქალაქში 4500-მდე დუქანი და შვიდი-რვა სავაჭრო ქარვასლაა. აქაური ხალხი ძალიან ლამაზია. ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი ადგილობრივი ქართველები და სომხებია, მეორე - რუსები და უცხოელი ქრისტიანები, მესამე კი - მუსლიმები (ნახევარი შიიტები და ნახევარი სუნიტები). მუსლიმები აქ ქრისტიანების მსგავსად ცხოვრობენ, მათ არ გაურბიან, ქრისტიანების საკვებს და მათ მიერ დაკლულ საქონელს ჭამენ და ყველა სახის დამათრობელ სასმელს სვამენ.

(სპარსულიდან თარგმნა მ. ალექსიძემ)

მეჩეთები

თბილისში ოცამდე დიდი და პატარა მეჩეთია. ერთი დიდი მეჩეთი სუნიტებს ეკუთვნის, მეორე კი - შიიტებს... რუსეთის ხელისუფლება სუნიტ და შიიტ სწავლულთა რეკომენდაციით თითოეული მიმდინარეობისთვის ნიშნავს შეიხ ალ-ესლამს, რომლის გადაწყვეტილებასაც ამ მიმდინარეობის ყველა წარმომადგენელი ემორჩილება. შეიხ ალ-ესლამი, თავის მხრივ, კავკასიის ყველა ქალაქში მოსამართლედ თავის ერთგულ მოლას აგზავნის. შეიხ ალ-ესლამს ბევრი მიმდევარი და მსახური ჰყავს, მათ შორის ფარაში, ფარაშბაში, გადასახადების ამკრები, მამასახლისი დასხვა. მათ ხელშია სხვადასხვა სახის შემოწირულობებიც, რომლის შემოსავალი რელიგიურ საჭიროებებსა და გაჭირვებულ ხალხს ხმარდება. შეთანხმების მიხედვით, შეიხ ალ-ესლამი კავკასიური წარმოშობის რუსეთის მოქალაქე უნდა იყოს.

უცხო ქვეყნების ქვეშევრდომები თბილისში

თბილისსა და მის შემოგარენში ირანის ოთხი ათასამდე მოქალაქე ცხოვრობს. აქედან 100 ვაჭარია, დანარჩენი კი ხელოსნები და გლეხები არიან, თუმცა დიდად ავტორიტეტულ ვაჭარს აქ ვერ ნახავ. ირანის, ოსმალეთისა და ინგლისის მთავრობებს თბილისში კონსულები და გენერალური კონსულები ჰყავთ.